336
18-06-2010

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ი-234

ქ. თბილისი "16" 06 2010წ.

კ/ს „შ.პ.ს №4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი" და დანელია-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „კ" ქვეპუნქტის და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს კ/ს „შ.პ.ს №4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი" და დანელია-ზე ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია მაიონებელი გამოსხივების იმ მაგენერირებელი მოწყობილობების სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის, რომლებიც არ შეიცავს რადიოაქტიურ წყაროებს ან/და ბირთვულ მასალებს.
2. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს გასცეს ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისი სალიცენზიო მოწმობა.
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს კ/ს „შ.პ.ს №4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი" და დანელია-ს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს კ/ს „შ.პ.ს №4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი" და დანელია-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი და ი/მ „ვალერი ქოჩარიანი"-ს განცხადება.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურს კ/ს „შ.პ.ს №4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი" და დანელია-ს.